საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №528

2005 წლის 22 ივნისი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის შექმნის შესახებ

ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისა და მისი მოღვაწეობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად:

1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი (შემდგომში – ნაციონალური ბალეტის დასი).

2. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ (გ. გაბაშვილი) განახორციელოს ნაციონალური ბალეტის დასის სახელმწიფო კონტროლი, დაამტკიცოს დასის დებულება და დანიშნოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (ალ. ალექსიშვილი) უზრუნველყოს ნაციონალური ბალეტის დასისათვის შესაბამისი მოძრავი ქონების გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მ. სააკაშვილი